

არქეოლოგიური მონაპოვარი ალევის ყოვლადწმინდა სამების მონასტრიდან

ნოდარ ბახტაძე

ალევის ყოვლადწმინდა სამების ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ანსამბლი მდებარეობს საქართველოში, ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფ. ზემო ალევიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 5 კმ-ის დაშორებით. კომპლექსი აგებულია მდ. ქსნისა და არაგვის ხეობათა წყალგამყოფი ქედის საკმაოდ შემაღლებულ მწვერვალზე და ორგანულად ერწყმის ულამაზეს ლანდშაფტს – ვიზუალურად შესანიშნავად აღიქმება კავკასიონის ცენტრალური ქედის თოვლიანი მწვერვალებისა და ალპური მდელოების ფონზე. ალევის სამებისკენ ორი ძირითადი საურმე (აწ ნაწილობრივ სამანქანო) გზა მიემართება – ერთი სოფ. კორინთიდან, ალევის წყლის ხეობის გავლით, მეორე კი არაგვის პირიდან, ანანურ-ბაზალეთიდან.

ალევის სამების კომპლექსის მთავარმა ეკლესიამ, ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის მოზრდილმა სამეცნიერო ბაზილიკამ (მრავალრიცხვოვანი ეკვდერ-მინაშენებით) [მეფისაშვილი... 1975:96] ბოლო დრომდე საკმაოდ დაზიანებული სახით მოაღწია, თუმცა, სულ ახლახან, მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი რესტავრაცია ჩაუტარდა (სურ. 1). ეს ნაგებობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ქრისტიანული სატაძრო ხუროთმოძღვრების მეტად საყურადღებო ძეგლია (სურ. 2). ტაძრის არქიტექტურულ აღნაგობაში აშკარად გამოსჭვივის შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო ხუროთმოძღვრების განვითარების ე.წ. გარდამავალი ხანისთვის, VIII-IX საუკუნეებისათვის დამახასიათებელი სტილისტური ნიშნები – მაგალითად, ინტერიერის სივრცულ გადაწყვეტასა და ფასადების დამუშავებაში თვალნათლივ იგრძნობა აღნიშნული ეპოქის საქართველოს დაბლობი და მთის რეგიონების საეკლესიო-სამშენებლო ტრადიციების შერწყმა (მართკუთხა გეგმის საკურთხეველი; აღმოსავლეთის ფასადზე მიშენებული დამატებითი სამლოცველო-ეკვდერები; ბრტყელი, ფლეთილი ქვით გაწყობილ ფასადებზე მაღალმთიანი პროვინციების ნაგებობათათვის დამახასიათებელი მშრალი წყობის იმიტაცია და სხვ.) [მეფისაშვილი...1975: 104; დოლიძე 1958; საქართვე-

ლოს...1990:233-234,256,282-283,328; დათუკიშვილი...2010]. ეკლესიაში ამჟამად ძველი ეპოქებისა მხოლოდ ქვის კონსტრუქციებია შემონა-ხული – ინტერიერის სათანადო ადგილებში სრულიად აღარ არის შე-მორჩენილი არამცთუ შუა საუკუნეების, არამედ თუნდაც 1-2 საუკუნის წინათ დამზადებული საეკლესიო მოწყობილობანი და ნივთები.

ალევის ყოვლადწმინდა სამების კომპლექსი, მთავარი ეკლესიის გარდა მოიცავდა კიდევ რამდენიმე საკულტო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობა-ნაგებობას, რომელთა ნაწილი ამჟამად ნანგრე-ვების სახითაა შემორჩენილი, ზოგიერთის ნაშთები კი პრაქტიკულად მთლიანად მიწის ქვეშა მოქცეული. მაგალითად, ეკლესიის ეზოში, გალავნის შიდა პარამეტრის შემოყოლებაზე განლაგებული ყოფილა 2-3 მოზრდილი ნაგებობა, გალავნის გარეთ, დასავლეთის და ჩრდილო-ეთის ფერდობებზე კი ტერასულად ყოფილა შეფენილი მრავალი მომც-რო სათავსი (სურ. 3).

წერილობითი ცნობა ალევის სამების შესახებ, პირველად XVIII ს-ის ცნობილი ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფოსის, ვახუშ-ტი ბაგრატიონის თხზულებაში, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ გვხვდება. ამ ნაშრომის ნაკვეთში „აღწერა აწინდელისა ქართლისა“, ავტორი ბრძანებს:

„და ალევი არს მთა მაღალი, თხემთა უტყეო, კალთათა ტყიანი. ესე წარივლის სამხრით ოძისამდე და ჩრდილოდ ლომისამდე. ესე მთა ჰყოფს ქსნის ხევსა და ბაზალეთსა. ამ ალევის მთის თხემსა არს ეკლესია უგუმბათო, მჭურეტი ქართლ-კახეთისა. მას შინა არს სიმრავლე ხატთა და ჯუართა ოქროისა და ვერცხლისათა, და სამსახურებელი ეკლესისანი მრავალი. კარნი აქუს ოქ-როსი, რომელი უქმნეს სპარსთა, რაუამს წარიღეს ხატი მისი, მუნ სასწაულის მხილველთა, უქმნეს კარნი ოქროისანი და დას-დვეს ურემსა ხარბმულსა, და მოილო მუნ“ [ბაგრატიონი 1972: 353-354].

1850 წელს ალევის კომპლექსში უმოგზაურია ერთ-ერთ პირველ ქართველ ისტორიკოს-ეთნოგრაფს, ნიკოლოზ ბერძნიშვილს და გაზით „კავკაზ“-ში გამოუქვეყნებია ცნობები იქ შემორჩენილი ეკლესია-ნაგე-ბობების, ისტორიული ნივთებისა და ხალხური გადმოცემების შესახებ [ბერძნოვი 1850]. საყურადღებოა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ისტორიულ მეხსიერებაზე დაყრდნობით, ავტორი ალევის ეკლესიის ანსამბლს მონასტრად მოიხსენიებს (როგორც შემდეგ ვნახავთ, სრუ-ლიად სამართლიანად). მისი მონათხრობიდან, საინტერესოა აგრეთვე ვახუშტის ნაშრომში გადმოცემული ლეგენდის რამდენადმე სახეცვლი-

ლი ვარიანტი – იმის შესახებ, თუ როგორ გაიტაცა შაჰ-აბასმა¹ ალევის ტაძრიდან ხატები და ამის შემდეგ, ირანზე ღვთის მიერ თავს დატეხილი მომაკვდინებელი ეპიდემიით შეშფოთებულს, როგორ მოუხდა მას ტყვე ქართველთა და ხატების დაბრუნება. ნ. ბერძნიშვილი სტატიაში აღნიშნავს, რომ ოდესლაც ძვირფასი საეკლესიო ჯვარ-ხატებითა და სხვა განძეულით ცნობილ ალევის სამების ეკლესიაში, მისი მოგზაურობის დროს ძველი საეკლესიო ხელოვნების განსაკუთრებით ღირებული ნიმუშები პრაქტიკულად აღარ იყო შემორჩენილი – ხატები ახლებიაო, ტილოზე ნახატი. მეორე მხრივ, მას მონასტერში ქართველი მეფეებისა და დიდგვაროვნებისგან შემოწირული რამდენიმე ოქროს და ვერცხლის ნივთი მაინც უნახავს; იქვე საუბრობს ეკლესიის კანკელში დატანებულ აღსავლის კარში დაკიდებულ სამეუფეო კარებზეც – აღნიშნავს, ერთ-ერთზე არაგვის ერისთავის, კარის განმახლებლის წარწერააო (თვით კარებს არ აღწერს). გარდა ამისა, მკვლევარს ახალი ხატების დასამშვენებლად დამაგრებული, ძველი ოქრომჭედლობის ნიმუშების რამდენიმე ფრაგმენტი შეუნიშნავს. სამწუხაროდ, ავტორს აღნიშნული ნივთების აღრიცხვა, ფუნქციონალური და ქრონოლოგიური კლასიფიკაცია ვერ მოუხერხებია.

ძეგლის მონახულების შემდეგ, ალევის ეკლესიის კომპლექსი და იქ შემორჩენილი ნივთიერი სიძველეები უფრო პროფესიონალურად აღუნუსხავს ცნობილ ქართველ ისტორიკოსს, პლატონ იოსელიანს. 1871 წელს გაზით „Кавказ“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში და 1873 წელს გამოქვეყნებულ ბროშურაში „Алевская святыня“, მეცნიერს დაფიქსირებული აქვს ხალხური გადმოცემა იმის შესახებ, თითქოსდა ეკლესია მეფე დავით IV-ის (აღმაშენებლის) ძალისხმევითაა აგებული XII ს-ში. აღნიშნული აქვს, რომ ამ ეკლესიის საყოველთაოდ გავრცელებული ზედწოდებაა „ოქროსკარიანი“, და იქვე გადმოცემული აქვს ლეგენდა შაჰ-აბასის მიერ ამ სალოცავის გაჩანავების, შემდეგ კი, დანაშაულის მისატევებლად, ეკლესიისთვის ოქროს კარების შეწირვის შესახებ [იოსელიანი 1871].

პ. იოსელიანსაც ეს სალოცავი ნამონასტრალად მიაჩნია, ხოლო გალავნის შიგნით მოქცეული ნაგებობები მონასტრის საზოგადოებრივ სათავსებად და სენაკებად. ერთ-ერთი ნაგებობის (მისი სიტყვით „სენაკის“) დაბალ კუთხეში მას უნახავს პატარა, ბნელი ოთახი, 3.5 m X 3.5 m სიგრძე-სიგანის, რომელიც მრევლის გადმოცემით, მონასტრის ხატების და ძვირფასი ინვენტარის სამალავი ყოფილა; უფრო მეტიც, ეს

¹ ალბათ, ხალხურ მეხსიერებას შემოუნახავს 1587-1629 წწ.-ში ირანის სეფივიდების დინასტიის წარმომადგენელი მმართველის, შაჰ-აბას I-ის ლაშქრობები აღმოსავლეთ საქართველოში.

სათავსი თურმე ავტორის მოგზაურობის დროსაც კი გამოიყენებოდა საეკლესიო ნივთების შესანახად.

შემდეგ, მეცნიერი ჩამოთვლის მონასტერში (არ უთითებს, ეკლესიასა თუ სამალავში) მის მიერ ნანახ, ვერცხლის მოოქრულ ხატებს და ჯვრებს, აგრეთვე სხვა ძვირფას ინვენტარს, შეწირულობის წარწერებში მოხსენიებულ ისტორიულ პირთა მისეული იდენტიფიცირებითურთ. საყურადღებოა, რომ ამ ნუსხაში მოიხსენიება მოოქრული ვერცხლის ჭედური ხატები მთავარანგელოზებისა, რომლებზეც მეცნიერი აღნიშნავს, სამეუფეო კარებზეაო განთავსებული. ნაშრომში ნათქვამია, რომ ერთ-ერთი მათგანი, მთავარანგელოზ გაბრიელის ხატი წარწერის მიხედვით 1373 წლით თარიღდებოდა; მეორედ ის 1772 წელს ხელახლა შეუმკია დავით არაგვის ერისთავს. კიდევ ერთი, მთავარანგელოზ მიქაელის იგივე სტილით მოჭედილი ხატი, ავტორის სიტყვებით, არაგვის ერისთავს (სახელს არ უთითებს) 1619 წელს განუახლებია.

ქრონოლოგიურად მომდევნო ცნობას, თავის დროზე ალევის სამების მონასტერში დაცული საეკლესიო განძის შესახებ, ბატონი ექვთიმე თაყაიშვილი გვაწვდის. ღვაწლმოსილ მეცნიერს მდ. ქსნის ხეობის სიძველეებისადმი მიძღვნილ ნაშრომში, განსაკუთრებული ყურადღება მიუბყრია ოდესალაც ალევის სამების მონასტრის კუთვნილი საეკლესიო ნივთების განძისადმი (უშუალოდ ალევის მონასტერი, ბატონ ექვთიმეს ვერ მოუნახულებია) [თაყაიშვილი 1915:65-75]. მას დეტალურად აქვს აღწერილი ამ ხეობის სოფ. კორინთის ეკლესიაში დაცული ხატები და გამოყენებითი ოქრომჭედლობის ნიმუშები, რომლებიც მათზე შემორჩენილი წარწერების მიხედვით, უთუოდ ალევის სამებიდან ყოფილა იქ ჩატანილი გაძარცვისა და გაფანტვის თავიდან აცილების მიზნით (ამ მაღალმთიან სალოცავში იმჟამად რეგულარული ღვთისმსახურება, სამონასტრო ცხოვრება აღარ მიმდინარეობდა და მრევლი მასობრივად მხოლოდ დღეობაზე, 15 აგვისტოს ადიოდა). კოლექცია, რომელიც მთლიანად XVIII-XIX ს-ის განმავლობაში შეწირული, ძვირფასი ლითონებისგან დამზადებული საეკლესიო ინვენტარისა და გამოყენებითი ხელოვნების სხვა ნიმუშებისგან შედგება, XIX ს-ის მიწურულს ან XX ს-ის პირველ წლებში გადმოუტანიათ აქ (ამაზეც შეწირულობის წარწერების უკანასკნელი თარიღები მეტყველებს).²

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ე. თაყაიშვილის მიერ ალევის სამებიდან კორინთაში გადმოტანილი განძი არ მოიცავს პ. იოსელიანის მიერ მოხსენიებულ, სამეუფეო კარის შემამკობელ, განვითარე-

2 მე-20 ს-ის დასაწყისშივე სოფ. კორინთის ეკლესიაში შენახული ამ განძის დიდი ნაწილი თბილისში იქნა გადატანილი ექვთიმე თაყაიშვილის მიერ და ამჟამად საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში ინახება [გვასალია 1967:42].

ბული შუა საუკუნეების ჭედურ ხატებს – ეს ხატები რომ ჩამოთვლილ საეკლესიო ინვენტართან ერთად გადმოეტანათ კორინთაში, ცხადია, ბატონი ექვთიმე ყურადღებას უპირველესად მათ მიაქცევდა. ე.ი., უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროს აღნიშნული ხატები ან დაკარგულია, ან ადგილზეა დატოვებული – იქნებ უცნობმა მზრუნველებმა სხვა საეკლესიო ნივთების უხილვათო ადილზე გადატანის დროს, მათზე მყარად დამაგრებული ხატებიანი კარები, საეკლესიო ხელოვნების „მოძრავ“ ძეგლად არ ჩათვალეს და, როგორც ამ ეკლესის განუყრელი ხუროთ-მოძღვრული დეტალი (ბოლოს და ბოლოს, როგორც „ოქროსკარიანი“ სალოცავის სიმბოლო), არ ჩამოხსნეს? სავსებით დასაშვებია ის ვერ-სიაც, რომ დიდი ზომისა და სიმძიმის გამო, ჩამოხსნილი კარები სხვა ნივთებთან ერთად კორინთაში ვეღარ გადაიტანეს და ზემოთ აღნიშნულ სამალავში შეინახეს. ბოლო ორ ვერსიაზე მსჯელობისას უნდა გვახსოვდეს, რომ საეკლესიო განძის კორინთაში „ევაკუაციის“ განმახორციელებლები ძველი ხელოვნების პროფესიონალი შემფასებლები ვერ იქნებოდნენ და, უნებლიერ, მოჭედილი კარების სახით, ადგილზე ყველაზე ფასეული ნივთები დატოვეს.

კორინთაში გადატანილი აღნიშნული განძი, ე. თაყაიშვილის მიხედვით 40-მდე ძვირფასი ნივთისგან შედგებოდა და, ამდენად, რამდენადმე გაურკვევლობას იწვევს შემდეგი ფაქტი: თუკი ამ ძვირფასეულობის დიდი ნაწილი XIX ს-ის 50-იან – 70-იან წლებში ალევის მონასტერში ინახებოდა, რატომ აღნიშნავდნენ 6. ბერძნიშვილი და პ. იოსელიანი ასე დანანებით, სალოცავში განძეულის მცირე ნაწილია არისო შემონახული. უფრო მეტიც – ჩვენთვის უცნობ წყაროზე დაყრდნობით, ბ-ნი ექვთიმე 1915 წლს წერს, ალევის სამების კუთვნილი, არაჩვეულებრივად ნაკეთი ხატების და ჯვრების დიდი ნაწილი, ამ 18-ოდე წლის წინ მონასტერში მომხდარი ძარცვისას დაიკარგაო; უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ამის შემდეგ გადმოიტანეს დარჩენილი, ე. ი., მძარცველთათვის ნაკლებად ფასეული, ან უფრო საიმედოდ შენახული, აღწერის და ფოტოების მიხედვით საკმაოდ მაღალმხატვრული ნივთები კორინთის ეკლესიაში. ისლა დაგვრჩენია ვივარაუდოთ, რომ წინამორბედ მეცნიერებს, მოგზაურობისას, რაღაც მიზეზით ალევის საეკლესიო ინვენტარის დიდი ნაწილი არ უნახავთ – იქნებ იმუამად პერიოდულად მოქმედი ამ სალოცავის მესვეურ „ხევისბერებს“ მთელი განძის ფაქტიურად უცნობი პიროვნებების წინაშე წარმოჩენა არ სურდათ? შესაძლოა, წირვაზე დასწრებისას მათ მხოლოდ ლიტურგის-თვის თუ განათებისთვის აუცილებელი რამდენიმე ნივთი ნახეს, მაგ., პ. იოსელიანის მიერ აღნიშნული გამოსატანი ჯვარი, ფეშეუმ-ბარძიმი, ვერცხლის ჭალი, ცხვრის ვერცხლის ქანდაკება ზურგზე შანდლებით

და კიდევ ორიოდე სხვა ნივთი (ყველა XVIII-XIX სს-ისა) [იოსელიანი 1871]. ასეთ მოსაზრებას თითქოს ის გარემოებაც ადასტურებს, რომ აღნიშნული ორივე მხარეთმცოდნე-მკვლევრი აშკარად მთავარან-გელოზთა ერთსა და იმავე ხატებზე საუბრობს, რომლებიც ეკლესიის სამეუფეო კარების მოჭედილობაში იყო ჩართული და მოგზაურთა თვალთახედვის არეში ისინი უთუოდ მოხვდებოდნენ.

ახლა კი, შედარებით ვრცლად წარმოვადგენთ საკითხს, თუ რა ისტორიული რეალობის ანარეკლს შეიძლება წარმოადგენდეს წერი-ლობით წყაროებსა და ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ალევის სამების ესოდენ განუყრელ ზედწოდებად ასახული ეპითეტი – „ოქროსკარი-ანი“.

ვახუშტი ბაგრატიონის ზემოთ აღნიშნულ ცნობაში და ჩამოთვ-ლილ მოგზაურთა ნაშრომებში, მხოლოდ ოდნავ განსხვავებული ვა-რიანტებითაა დაფიქსირებული თქმულება ამ ეკლესიის ოქროს კარე-ბით შემკულობის თაობაზე.

ბ-ნი ე. თაყაიშვილის მიერ ჩამოთვლილი ძვირფასი ნივთების შე-წირულობის წარწერებშიც, შესაბამისად, ხშირად მეორდება ეპითეტი „ოქროსკარიანი“. მაგალითად: „შემოგწირე წმინდის სამების ოქროსკა-რიან ეკლესიას“; „შემოგწირე ესე აზარფეშა ოქროს კარიან ეკლესიას“ [თაყაიშვილი 1915:69-71] და სხვ. ღვაწლმოსილი მეცნიერი ამავე ნაშ-რომში პირდაპირაც მიუთითებს ალევის ეკლესიის ამ ზედწოდების წარმოშობის სავარაუდო სათავეზე – იგი პირველმკვლევართა მიერ მოწოდებული, ზემოთ აღნიშნული ცნობის საფუძველზე წერს:³ „ალე-ვის სამებას მოსახლეობა ოქროსკარიანს იმიტომ ეძახის, რომ მისი სამეუფეო კარები ოქროს ფურცლებით იყო შემოსილი“ [თაყაიშვილი 1915:65].

უფრო მეტიც – მიმდებარე რეგიონების ძირეული, ქართული მო-სახლეობა, ალევის სამების ტაძარს დღესაც თითქმის სინონიმად ქცე-ული ეპითეტით, „ოქროსკარიანად“ მოიხსენიებს. ბუნებრივია, ეთნოგ-რაფთა მიერ მე-19 ს-ის პირველ ნახევარში დაფიქსირებულ ხალხურ სახელწოდებას საფუძვლად ვერ დაედებოდა ვახუშტის ნაშრომში შემონახული ცნობა ალევის სამების ოქროს კარებით აღკაზმულობის შესახებ; ამდენად, ძეგლის არქეოლოგიურად გამოუკვლევადაც კი, თითქოს ნათელი უნდა ყოფილიყო, რომ ეს ორივე გადმოცემა გაცილე-ბით ძველი, თუნდაც წარსულის „რომანტიულ“ საბურველში გახვეული რეალობით იყო ნასაზრდოები.

3 ჩვენი აზრით, მხოლოდ ლოგიკურ მსჯელობაზე დაყრდნობით - მას ხომ, ჩვენგან განსხვავებით, თავად არ უნახავს ამ კარების და მათი შემკულობის ფრაგმენტე-ბი (იხილეთ ქვემოთ).

და მაინც, ხალხურ გადმოცემებში მოხსენიებულ ოქროს კარს, შემდგომი თაობის მკვლევართა ერთი ნაწილი უბრალო „ტროპად“ მიიჩნევს. მაგ., მე-20 ს-ის ცნობილი ქართველი ისტორიკოს-ეთნოგრაფი, ს. მაკალათია წერდა: „ლეგენდა ალევის ეკლესიის ოქროს კარიანობაზე შეთხმულია იმის გამო, რომ იგი მდიდარი ყოფილა საეკლესიო ძვირფასი განძით და ამის გამო უფრო უწოდებდნენ „ოქროს კარიანს“ [მაკალათია 1968:94]. როგორც ვხედავთ, მკვლევარმა ამ ხალხური გადმოცემისა და ვახშტი ბატონიშვილის აღნიშნული ცნობის წარმოშობის საერთო ფესვების ძიება იმდენად მიზანშეუწონლად მიიჩნია, რომ ყურადღება არ გაუმახვილებია ძეგლის მკვლევარ მეცნიერთა იმ ცნობაზეც კი, რომ მათი მოგზაურობისას, ალევის ეკლესიის კანკელში დატანებულ აღსავლის კარში, ოქროთი დაფერილი, ვერცხლით მოჭედილი სამეუფეო კარები ეკიდა (ს. მაკალათიასთვის „კავკავ“ – ის აღნიშნული პუბლიკაციები ცნობილი ყოფილა – ისინი ნაშრომში დამოწმებული აქვს).

როგორც ვხედავთ, სხვადასხვა თაობის მკვლევართა მიერ თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში გამოჩენილი განსაკუთრებული ყურადღება ალევის ყოვლადწმინდა სამების მონასტრისა და მასში დაცული საეკლესიო სიძველეების მიმართ, შემთხვევითი არ ყოფილა – არცთუ მრავალი ქართული ეკლესია-მონასტრის შესახებაა შემორჩენილი ამდენად საინტერესო, დღემდე ცოცხალი თქმულება-ლეგენდები და არც მათში მე-20 საუკუნემდე დაცული მრავალფეროვანი, საკმაოდ ძველი საეკლესიო ინვენტარია ხშირი მოვლენა.

მიუხედავად სამეცნიერო საზოგადოებრიობის მხრივ ასეთი ინტერესისა ამ ძეგლის მიმართ, ალევის სამების კომპლექსი ხელოვნებათმცოდნეობითი და არქეოლოგიური თვალსაზრისით დღემდე სრულიად შეუსწავლელი იყო. ამ უაღრესად საყურადღებო ისტორიულ-ხუროთმოძღვრულ კომპლექსზე არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების საშუალება მხოლოდ ამ 3 წლის წინ მოგვეცა.⁴

4 არქეოლოგიური კვლევის აუცილებლობა შემდეგმა პრაქტიკულმა საჭიროებამ გამოიწვია: იმასთან დაკავშირებით, რომ 2007 წელს ამ კომპლექსის ტერიტორიაზე მამათა მონასტერმა კვლავ დაიწყო ფუნქციონირება, დღის წესრიგში დადგა მონასტრის ტერიტორიაზე შემორჩენილი დაზიანებული ნაგებობების რესტავრაცია. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო კონვენციების შესაბამისად, ამ სამუშაოების დაწყებამდე, ცხინვალისა და ნიქოზის ეპარქიის მესვეურებმა ხელი შეუწყეს საპროექტო ფართობებზე წინასარეაბილიტაციო არქეოლოგიური კვლევის ჩატარებას. არქეოლოგიურ კვლევაში დიდი დახმარება გაგვიწიეს: ალევის მამათა მონასტრის წინამძღვარმა, მამა იოანემ; იკოთის დედათა მონასტრის წინამძღვარმა, დედა სალომემ; საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს უფროსმა სპეციალისტმა, ბატონმა ზვიად ბატიაშვილმა; არქიტექტორ-რესტავრატორებმა, ქალბატონნმა ნინო ყანჩელმა და ბატონმა თენგიზ გაბუნიად.

ეს სამუშაოები 2008 წლის ივნისში, სწორედ ქსნის ხეობის ამ მონაკვეთის რუსეთის მიერ ოკუპაციის წინ შეასრულა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ექსპედიციამ (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ ნ. ბახტაძის ხელმძღვანელობით). გათხოვა მეტად საყურადღებო ინფორმაცია მოგვცა აღნიშნული რეგიონის ამ ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ქრისტიანული ცენტრის ისტორიის შესახებ, მისი შემადგენელი კომპონენტების წარმოშობის ხანის და ფუნქციონირების ქრონილოგიური ჩარჩოების თაობაზე. მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ამ კვლევისას მოპოვებულმა არტეფაქტებმა თითქოსდა საბოლოოდ მოჰყონა ნათელი ალევის სამების „ოქროსკარიანობის“ შესახებ მოარული უძველესი თქმულების წარმოშობის რეალურ საფუძველს.

გათხოვა შედეგად გამოირკვა, რომ გვიანი შუა საუკუნეების მიწურულს ქსნის და არაგვის ხეობათა მოსახლეობის „სალოცავად“ ქცეული ეს კომპლექსი დაახ. VIII-IX საუკუნეებში ყოფილა დაარსებული სამონასტრო მიზნით და მას ეს ფუნქცია, მეტ-ნაკლებ ქრონილოგიურ წყვეტილობებს თუ არ ჩავთვლით, XVIII ს-მდე შეუნარჩუნებია. მონასტრის მთავარი ტაძარს წარმოადგენდა ამ სავანის დაარსების შემდგომ მალევე აგებული დიდი სამეცნიერო ბაზილიკა, რომლის ირგვლივაც მომდევნო საუკუნეებში განვითარებულა მონასტრის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სხვა შენობა-ნაგებობებიც – სატრაპეზო, ბერების სენაკები, სამეურნეო და თავდაცვითი სისტემები. გათხოვა შედეგად მოპოვებული ინფორმაციით დადასტურდა ამ მონასტრის ორგანიზაციული სტილი – ის ზოგადსაცხოვრებელ ყაიდაზე ყოფილა მოწყობილი და არა როგორც ლავრა.⁵ უფრო მეტიც – ამ სამონასტრო სტრუქტურების გათხრით გამოიკვეთა განვითარებული შუა საუკუნეების ქართული მონასტრების საყოფაცხოვრებო უბნების ერთ-ერთი სახასიათო გეგმარებითი სტილი – მთის პლატოს დაფერდებულ კალთებზე რამდენიმე სექტორად შემოყოლებული, ერთმანეთის გვერდით განლაგებული, თითქმის უნიფიცირებული სენაკები. ამ სენაკების უცარ, ერთიანად დანგრევა-გაჩანაგებაზე და, შესაბამისად, ალევის სამებაში სამონასტრო ცხოვრების ყველაზე აქტიური ფაზის შეწყვეტაზე, მათ იატაკებზე დაფიქსირებულმა ნივთიერმა მასალამ გაგვცა პა-

5 როგორც ცნობილია, აღმოსავლურ-ქრისტიანული მონასტიციიზმისათვის, დაწყებული IV ს-იდან, მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში, მოწესეობის მხოლოდ ორი კანონიკური წესი იყო ცნობილი: 1. ლავრები, ე.ი. იმ განდევილების გაერთიანებები, რომლებიც მხოლოდ შაბათ-კვირას ხვდებოდნენ ერთმანეთს ერთობლივი წირვისა და ტრაპეზისას; 2. კოენობიუმები (ზოგადსაცხოვრებელი მონასტრები), სადაც მონაზვნები ერთად, ერთ რეჟიმით ცხოვრობდნენ და ლოცულობდნენ ყოველდღიურად [პირშველდი 1992:18-68; ბახტაძე 2003].

სუხი – ეს მომხდარა XIV ს-ის უკანასკნელ მეოთხედში, თითქმის უცილობლად საქართველოს ამ მხარეში თემურ-ლენგის გამანადგურებელ ლაშქრობის შედეგად.

გამოვლენილი არქეოლოგიური სურათით დადასტურდა, რომ გვიან შუა საუკუნეების გარკვეულ ეტაპზე მონასტერში რეგულარული ღვთისმსახურება აღდგენილა – ღიღგვაროვანთა ზემოთ აღნიშნული ძვირფასი შეწირულობანიც ხომ იმაზე მეტყველებს, რომ ამ საეკლესიო ორგანიზაციას თითქოს კვლავ მოუხვეჭავს აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ძლიერი ქრისტიანული ცენტრის სახელი; მიუხედავად ამისა, ბერ-მონაზვნების რიცხვი ამ დროს მაინც მკვეთრად ჩანს შემცირებული – გალავნის გარეთა სენაკებისთვის რესტავრაცია აღარ ჩაუტარებიათ. საბოლოოდ, სამონასტრო ცხოვრება აქ XVIII ს-ის პირველ ნახევარში ჩანს შეწყვეტილი და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკლესიას მრევლი პრაქტიკულად დღეობებზედაც აკითხავდა.

2008 წლის არქეოლოგიური კამპანიისას განსაკუთრებით საფუძვლიანად იქნა შესწავლილი მთავარი ეკლესიის სამხრეთით მდებარე ორსართულიანი სატრაპეზოს ნაშთი (სურ. 4). ამჯერად, სტატიის შეზღუდულ ფორმატში, სწორედ ამ სამუშაოს შედეგად მიღებული ინფორმაციის ზოგიერთ, ჩვენი აზრით ყველაზე საყურადღებო ასპექტზე უფრო მეტად გავამახვილებთ მკითხველის ყურადღებას.

სატრაპეზოში ჩატარებული გათხრებისას, უპირველეს ყოვლისა, ნაგებობის ინტერიერში ჩაქცეული სახურავის, კედლებისა და სართულშუა გადახურვების კონსტრუქციების ნანგრევი მასა ავიღეთ და I სართულის იატავის თავდაპირველ ჰორიზონტულ დონემდე დავედით. აღნიშნულ კულტურულ ფენაში აღმოჩნდა არტეფაქტების გარკვეული რაოდენობა, რომელთა სტილისტური თავისებურებანი დაგვეხმარა შენობის აგების ხანისა და ვითარების, მისი თავდაპირველი და შეძენილი ფუნქციების განსაზღვრაში.

მაგალითად, სატრაპეზოს I სართულის მიწით მოტკეპნილ იატაკებში ჩატკეპნილ მდგომარეობაში ან ნვრევისას ზედ იატაკზე დაფიქსირებულად, აღმოჩნდა რამდენიმე სახეობის, სხვადასხვა ტექნიკით ნაკეთი მოჭიქული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.⁶ მეტ-ნაკლები სისრულით შემონახული ამ მასალის თეორიული რეკონსტრუქციით შეიძლება დავასკვნათ, რომ ალევის მონასტრის სატრაპეზოს ინტენსიური

6 აღნიშნულ სტრატიგრაფიულ ფენაში მოპოვებული ნივთიერი მასალიდან, ყურადღებას განსაკუთრებით მოჭიქულ ჭურჭლზე შემდეგი გარემოების გამოვამახვილებთ: დღესდღეობით, განვითარებული შუა საუკუნეების ქართულ არქეოლოგიურ ძეგლებზე დადასტურებული კერამიკის ნიმუშებიდან, ყველაზე დამაჯერებელი ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კლასიფიკაცია სწორედ ამ სახობის ნაკეთობების შესახებ გავაჩინა.

ფუნქციონირებისას ძირითადად შემდეგი სახის მოჭიქული ჭურჭელი ყოფილა გამოყენებული:

1. კარგად განლექილი, წითლად გამომწვარი თიხის ჯამები, გამოყვანილი, ბორბლისებრი ქუსლით, რომელთა შიდაპირზე, შიშველ კეცზე თეთრი ანგობით გამოყვანილი ყოფილა მსხლისებრი, ფოთლისებრი და გულის მსგავსი ორნამენტი. ნახატზე გადავლებულია ცისფერი კრიალა ჭიქური;
2. ასეთივე თიხისა და მოყვანილობის ჯამები, ჩაღარული ან ბრტყელი ბაკოებით, თეთრი ანგობით შელებილ შიდაპირზე გრავირებით გამოყვანილია მხოლოდ მარყუჟისებრი სახეები, ან ეს მოტივი პარალელური წყვილი ხაზებით შედგენილ გეომეტრიულ ორნამენტთან კომბინაციაში. მოჭიქულია მწვანედ, ფირუზისფრად ან ლვინისფრად;
3. ასეთივე ფორმის ჯამები, თეთრ ანგობზე გრავირებული მცენარეული ან გეომეტრიული ორნამენტით (ან მათი კომბინაციით); ერთ ეგზიმპლიარზე შემორჩენილია ფრინველის სტილიზებური გამოსახულებების ნაწილიც (ფრთა და მკერდი). ორნამენტი და გამოსახულებები მწვანე, ყვითელი და ყავისფერი საღებავით იყო შელებილი. გადავლებული პქონდა უფერო, გამჭვირვალე ჭიქური;
4. ასეთივე ფორმის, თეთრად ანგობირებული, მარტოოდენ გრავირებული მცენარეული ორნამენტით შემკული, ძირითადად მწვანედ მოხატული ჯამები, რომელთაც გადავლებული პქონდა თელი, უფერო ჭიქური;
5. წითელკეციანი, შიშველ კეცზე ზიგზაგისებრი ანგობის ზოლებით მოხატული, მწვანედ მოჭიქული დოქები;
6. ძირგამოყვანილი, ბაკოჩაღარული, თეთრ ანგობზე ცისფრად ან მწვანედ მოჭიქული სამარილეები;
7. ცისფრად ან მწვანედ მოჭიქული ნიჟარისებრი ჭრაქები.

ამ ტიპის მოჭიქული ჭურჭლის თითოეული სახეობა ჩვენთვის კარგადაა ცნობილი XII-XIV სს-ის ქართული არქეოლოგიური მასალებიდან [მიწიშვილი 1969; მიწიშვილი 1979; ჭილაშვილი 1991; ჭილაშვილი 1975; ჩიკოიძე 1979; ჯაფარიძე 1956; ბახტაძე 2007 და სხვ.], რიგ შემთხვევებში კი, საქართველოს მეზობელი ქვეყნების უშუალოდ მიმდებარე რეგიონების იმავე ეპოქის ძეგლებიდანაც [არაქელიან 1964; ახმედოვ 1992]. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ნაგებობის იატაკის სტრატიგრაფიულად სულ ზედა ფენებში, პროცენტულად გაცილებით ჭარბობს მსხვილმარცვლოვანი თიხის, შედარებით უხეშად ნაკეთ-მოკაზმული

მოჭიქული თუ მოუჭიქავი ნაწარმი, რომლებიც უფრო XIII ს-ის და-სასრულისთვის და XIV ს-ისთვისაა დამახასიათებელი [ჭილაშვილი 1975:28,9; ბახტაძე 2007:153-154].

ფუნქციონირების ასეთივე ქრონოლოგიური ჩარჩოები მოგვცა ამ ნაგებობის იატაკის გათხრისას მოპოვებული მოუჭიქავი, მსხვილი თუ თხელკეციანი ჭურჭლის ფრაგმენტებმაც (მათ დახასიათებას აქ აღარ შევუდგებით).

რაც მთავარია, სატრაპეზოს იატაკის ჰორიზონტზე სამ მონეტა-საც მივაკვლიეთ, რომელთაგანაც 2 იმდენად კარგად არის შემონა-ხული, რომ მათი განსაზღვრა საკმაოდ ადვილია. პირველ, კარგად შემონახულ სპილენძის მონეტის შუბლზე რთული, კუთხეში მარყუჟე-ბიანი კვადრატების გადაკვეთით მიღებული ორნამენტული ჩარჩოა მოთავსებული (სურ. 14), რომლის ცენტრში ქართული ასომთავრული შრიფტით სახელი „დემეტრე“ დაქარაგმებული, გარე ბუდეში კი ასევე დაქარაგმებით უნდა ყოფილიყონაჭედი ამჟამად ცუდად შემონახული წარწერა: „მეფეთა მეფე“. ამ მონეტის ზურგზე გამოსახულია ბაგრა-ტიონთა სტილიზებული საგვარეულო ნიშანი, ირგვლივ დაქარაგმებუ-ლი ლოცვით: „გვწამს მამაი, ძეი და სული წმიდაი“. ამ რიგის მონეტები ამჟამად კარგად არის შესწავლილი ქართველი ნუმიზმატების მიერ და ეჭვ გარეშეა, რომ ის ეკუთვნის მეფე დემეტრე II თავდადებულს (მე-ფობდა 1270-1289 წწ) [კაპანაძე 1969:97-98].

მეორე, კარგად შემონახული მონეტის ნაირსახეობებიც ზუსტადაა განსაზღვრული სპეციალისტების მიერ – ის წარმოადგენს ე.წ. „კირმა-ნეულ თეთრს“, რომელიც მართალია საქართველოში უნდა იყოს მოჭ-რილი, მაგრამ ძალზე უახლოვდება XIII ს-ის ტრაპეზონულ „ასპრებს“. ამჟამად არ შევუდგებით ამ რიგის მონეტების საქართველოში მიმოქ-ცევაში შემოსვლის მიზეზების შესახებ მეცნიერთა მიერ გამოთქმული მრავალი მოსაზრების ჩამოთვლას, მხოლოს იმას აღვნიშნავთ, რომ ფუ-ლის ეს ნიშნები საქართველოში გამოიყენებოდა XIII ს-ის დასასრულსა და XIV ს-ში [კაპანაძე 1969:111-114].

ჩამოთვლილმა არტეფაქტებმა და მათი განვენის სტრატიგრა-ფიულმა სურათმა დაგვარწმუნა, რომ სატრაპეზო წყობიდან გამო-სულა XIV ს-ის დასასრულს, ზემოთ აღნიშნულ სენაკებთან ერთად, საქართველოში თემურ-ლენგის ერთ-ერთი ლაშქრობისას; შემდგომ, გვიან შუა საუკუნეებში, სამონასტრო ცხოვრების შეზღუდული მას-შტაბით აღდგენის შემდეგ, როგორც ჩანს, ასეთი დიდი სატრაპეზოს მთლიანად აღდგენა მართებულად აღარ ჩათვალეს და მის დასავლე-თის მინაშენებსლა იყენებდნენ (მომცრო მარნითურთ).

განსაკუთრებით საყურადღებო, შეიძლება ითქვას, მოულოდნეული შედეგიც კი მოგვცა ალევის მონასტრის ამ ნაგებობის I სართულის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე, მცირე ზომის, პრაქტიკულად სრულიად ბნელი სათავსის იატაკის არქეოლოგიურმა კვლევამ (სურ. 5). ქვის კამაროვანი სახურავით გადახურული ეს სარდაფი სატრაპეზოსთან ვიწრო, ოდესლაც ქვის უხევრო, მშრალი წყობით ამოქოლილი ღიობითაა დაკავშირებული. ეს ალბათ სწორედ ის ოთახია, რომელსაც პ. იოსელიანი, ადგილობრივი მოსახლეობის ზეპირი გადმოცემების საფუძველზე მონასტრის განძთსაცავად, სამალავად მიიჩნევდა [იოსელიანი 1871]. კონსტრუქციის ანალიზის მიხედვით, თვალს კარგად მოფარებული, ფასადის გარდა ყოველი მხრიდან მიწის ქანში მოქცეული ეს კამერა, თავდაპირველად ალბათ გრუნტის წყლის რეზერვუარად გამოიყენებოდა (კედლებში გამჭოლი, წყლის საყონი ხვრელები აქვს დატანებული); აღნიშნული გარემოება არ გამორიცხავს, რომ ამ სათავსს, პერიოდულად, სამალავის ფუნქციაც დაკისრებოდა – მტრის მოულოდნეული შემოსევისას (საეკლესიო ქონების გადამალვისას, მონასტრის მესვეურები იმაზე ზრუნვას ხომ არ შეუდგებოდნენ, თუ რა ბედი ეწეოდა ხატების ფერწერულ დეტალებს ან წიგნებს წლების, იქნებ საუკუნეების განმავლობაშიც, თუკი მონასტრის პერსონალი დაიღუპებოდა და მონასტრერი დიდი ხნით გაუდაბურდებოდა). აღნიშნული სათავსის იატაკის გათხრამ ასეთი არქეოლოგიური სურათი დააფიქსირა: წყლისგან შემოტანილი ნალექი მიწის სულ რამდენიმე სანტიმეტრის სისქის სტერილური ფენის ქვეშ, იატაკზე ოდესლაც მიმობნეული აღმოჩნდა ძვირფასი ლითონებისგან (ოქრო, მოოქრული ვერცხლი, ვერცხლი) დამზადებული, სხვადასხვა ფორმის და დანიშნულების ნივთები და მათი ფრაგმენტები – სულ 102 ერთეული. როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს არის გაცილებით მდიდარი განძის ხელყოფისას, სიჩქარისა თუ სიბრუნვის წყალობით, შემთხვევით შემორჩენილი ნაშთი. ჩვენ მიერ ჩატარებული სახელოვნებათმცოდნეო ანალიზის საფუძველზე გამოირკვა, რომ ამ კოლექციის შემადგენელი ნებისმიერი ნაკეთობა მხოლოდ XI-XIV სს-თა განმავლობაშია დამზადებული. განძის შემადგენელი ნივთების ზოგიერთი დეტალი მხატვრული ლითონმქანდაკებლობის შედევრების რიგს განეკუთვნება და ახალი მონაცემებით ავსებს ჩვენ ცოდნას ხელოვნების ამ დარგის თავისებურებების შესახებ განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოში.

კოლექციის წარმოდგენას დავიწყებთ ბაჯაღლო ოქროსგან დამზადებული, მეტად მაღალმხატვრული ნიმუშით. ეს არის ოსტატურად დამუშავებული, აუზრული, ბალთისებური მოყვანილობის ნაკეთობა (სურ. 6). ის ერთმანეთის პარალელური, ოქროს წვრილი მავთულით

აუურულად „ნაქსოვი“ სიბრტყეებისგან და მათი დამაკავშირებელი, ამგვარადვე წნული, გაცილებით ვიწრო წახნაგებისგან შედგება. ამ ფოთლისებური მოხაზულობის „ფილას“ ფუძე-წახნაგი სწორი აქვს, მოპირდაპირე მხარეს კი მრუდხაზოვნად ვიწროვდება და ცენტრში შეისრული ფორმით მთავრდება. სიგრძე 6,5 სმ-ია, სიგანე – 5,7 სმ. დასამზადებლად გამოყენებულია მეტად მაღალი მხატვრული დონის ფილიგრანის და გრეხილი ძაფის ტექნიკა. ოსტატს თანაბარი სისქისა და გრეხილობის წვრილი ოქროს მავთულით გამოუყვანია უაღრესად ნატიფი ხვეულები, წნულები, წრეები, ვარდულები, ჯვრები და სხვა სახეები, რომლებიც ბუნებრივად მონაცვლეობენ, ორგანულად ერწყმიან ერთმანეთს. ორნამენტში ჭარბობს რტო-ყლორტისებური და ნახევარფოთლისებური, სტილიზებული მოტივები. ოქროწნული სახეები „ბალთის“ სიბრტყეებზე გრძივი ღერძის მიმართ მკაცრად სიმეტრიულია. ერთ-ერთ სიბრტყეზე დომინირებული ადგილი უკავია ფილიგრანითა და გრეხილი ძაფით გამოყვანილ, მედალიონში ჩასმულ, ურთიერთგადამკვეთი სამკუთხედებით შექმნილ ექვსკუთხა ვარსკვლავს, ე.წ. „დავითის ფარის“ სიმბოლოს. ამ ფიგურაზე მიბჯენით, სიბრტყის გრძივი ღერძის სიმეტრიულადვე დატანებულია ორმაგ, წნულ წრეხაზებიან ჩარჩოში მოქცეული, ცრემლისებური ფორმის სიღრუე, რომლის წვეტიც სიბრტყის წვეროშია ჩაწერილი. ვფიქრობთ, ასეთი მოყვანილობის სიცარიელე სხვა საგანზე არსებულ, სამსჯვალისებურად გაფართოებულ შვერილზე ჩამოსაცმელი, განმზიდი, დრეკადი ძალის ზემოქმედებით ჩამკეტი ფოსო უნდა იყოს. შესაბამისად, მეტნაკლებად ცხადია ამ ნივთის დანიშნულებაც – ის მდიდრულად დამუშავებულ, უეჭველად ასევე მდიდრულად შემკული ორი ფირფიტის დამაკავშირებელ საკეტს უნდა წარმოადგენდეს. ამ მოსაზრებას ადასტურებს უპირველესად ამ ოქროს საგნის ფორმა – მისი სწორი, ნახევარცილინდრთან მიახლოებული ფორმის მხარე ხომ ასეთ შემთხვევაში ანჯამისებურად იბრუნებდა ღერძზე და ზუსტად ჩამოეცმებოდა საკეტის „ენას“.

ამ ნივთათან მიახლოებული ფორმისა და სავარაუდოდ იგივე დანიშნულების იუველირული ნაკეთობანი შეუა საუკუნეების ჩვენამდე მოღწეულ ქართულ ოქრომჭედლობის ნიმუშებში არ გვეგულება. სამაგიეროდ, ანალოგიური ტექნიკით ნაკეთი, სტილისტურად მსგავსად წნული, მდიდრული იუველირული აქცენტები, მხატვრული შთაბეჭდილების გასაძლიერებლად ჩართული არის ხოლმე X-XIII საუკუნეებში დამზადებულ ქართული ჭედური ხატებისა და სხვა საეკლესიო ინვეტარის შემკულობებში. მაგალითად, შეგვიძლია დავასახელოთ 973 წლით დათარიღებული იშხნის საწინამძღვრო ჯვრის მკლავების სა-

ფასადო მხარეზე განლაგებული, ძვირფასი თვლების ჩასასმელი დიდი, წრიული ფორმის ვარდულისებრი ბუდეების უკანა სიბრტყეების შემკულობა; ოქროს სადა და გრეხილი ძაფებიგან, ფილიგრანის ტექნიკით დამზადებულ ამ აუზრულად წნული ნაკეთობის მხატვრულ სახეებში, უთუოდ იგრძნობა ჩვენ მიერ აღწერილი ნივთის ორნამენტთან მეტად ახლოს მდგომი მოტივები [ჩუბინაშვილი 1959-ბ:60,61].⁷ ან კიდევ: სტილისტურად ალევის სამების კოლექციის ამ ნივთის მახლობელი ფილიგრანული მოტივები იკითხება ხახულის კარედის ღვთისმშობლის ხატის (XII ს) ჩარჩოზე განლაგებული ძვირფასი თვლების ჩასასმელი ოქროს ვარდულების წნულებში [საყვარელიძე... 1980:ფოტ. 32].

ოქროს სადა და გრეხილი მავთულით წნული, კიდევ ერთი აუზრული ნივთი ცილინდრული ფორმისაა (სიგრძე – 6 სმ, ფუძეების დიამეტრი – 2.2 სმ). გეომეტრიული ორნამენტით შემკულია როგორც ცილინდრის გარშემოწერილობის ფართი, ისე ფუძეები (სურ. 7). მისი გვერდები შედგება ფილიგრანით გამოყვანილი ექვსკუთხედების მწკრივებისგან, რომლების შიგნითაც ჩაწნულია ექვსფოთლიანი ვარდულები, ცენტრში წრით. ცილინდრის ერთი ფერდის სიგრძეზე, ერთმანეთის გაყოლებაზე მირჩილულია 3 წვრილი, ცილინდრულად დახვეული, ოქროს ვიწრო ფირფიტის მილი, რაც აღწერილი ოქროს საგნის დასაკიდი ანჯამის ასოციაციას იწვევს.

საყურადღებოა აგრეთვე განძის შემადგენელი ექვსკუთხა ფუძიანი, დახრილი კვადრატებისა და სამკუთხედების მონაცვლეობით მიღებულ ფორმიანი, ოქროს აუზრული, დაზიანებული ნივთი (სურ. 8). დამზადებულია მეტად მაღალი მხატვრული დონის ფილიგრანის ტექნიკით. გვერდები და ზედა სიბრტყე შემკულია წნული გეომეტრიული ორნამენტით. ფუძის მაქსიმალური სიგანეა 2.5 სმ. დანიშნულება უცნობია.

განძი უფრო ადვილად საცნაურ იუველირულ ნაწარმსაც მოიცავს. მაგ., აქ აღმოჩნდა: 1. ვერცხლის ბრტყელი ფირფიტისგან გამოჭედილი ტოლმკლავა ჯვარი, ქვედა მკლავზე მირჩილულ, გაცილებით ვიწრო, ბრტყელ ზოლზე წამოცმული ვერცხლისვე სფეროთი (სურ. 9). ნივთი

7 უნდა ითქვას, რომ იშანის ჯვარზე განლაგებული ამ ჩანართების, ძვირფასი თვლების ჩასასმელი, სიბრტყეზე მყარად დამაგრებული ბუდეების ზურგების (ე.ი., მნახველისათვის დაფარული მხარეების) ამგვარი მოკაზმულობა, ნივთის პირველმკლევარის, მიერ სავარაუდოდ იმით იყო ახსნილი, რომ თითქოსდა ამ სიღრუეებში მცირე ზომის წმინდა ნაწილები ინახებოდა [ჩუბინაშვილი 1959-ა: 56]. ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ ეს ნახევრად აუზრული ბუდეები თავდაპირველადვე ჯვრის მკლავების მოსართავად არ უნდა დაემზადებინათ – ზოგიერთ მათგანზე აშკარად შეინიშნება საკიდი ყუნწები; ვფიქრობთ, ეს მედალიონები სანაწილეებად კი იყო შექმნილი, მაგრამ გულსაკიდებად, მოგვიანებით კი ოქრომჭედელმა ისინი ჯვრის შემამკობელი ძვირფასი ქვების ჩარჩო-ვარდულებად გამოიყენა. თუმცა, ეს სრულიადაც არ მიგვანიშნებს იმაზე, რომ მედალიონები თვით ჯვართან შედარებით მნიშვნელოვნად ადრეულია.

დროშის ბუნიკს უნდა წარმოადგენდეს; მისი ზედაპირი მოოქრულია. ჯვრის სიმაღლეა 3.2 სმ. სამაგრი ფირფიტის სიგრძე 3.7 სმ-ია, სფეროს დიამეტრი – 1.3 სმ. 2. მოოქრული ვერცხლის ცილინდრულ ფარაკიანი ბეჭედი და მისივე ცისფერი პასტის თვალი. ბეჭდის რგოლის დიამეტრი 1.3 სმ-ია, ფარაკის დიამეტრიც – 1 სმ (სურ. 10). 3. ოქროს ცილინდრული ფორმის ბუდე, ფუძეზე წვეტიანი წვრილი სამაგრით, რომელშიც ჩასმულია ლურჯი მინის თვალი. ცილინდრის დიამეტრია 1.5 სმ, სიმაღლე 0.7 სმ. და სხვ.

აღმოჩენილ ოქრომჭედლობის ნიმუშების ფრაგმენტთაგან, უმრავლესობა მაინც ჭედური ორნამენტით შემკულ, ცალი მხრიდან მოოქრულ, ვერცხლის ფურცლოვანი ფირფიტების მეტ-ნაკლები ზომის, ძირითადად მომცრო ნაწილებს წარმოადგენს. შედარებით მოზრდილ რამდენიმე ფირფიტაზე გამოსახული ორნამენტის სტილისტური და ტექნოლოგიური ანალიზით დავრწმუნდით, რომ მათ მრავალი საერთო ნიშან-თვისება აკავშირებთ შუა საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობის ჩვენთვის კარგად ცნობილი ნიმუშების შემკულობის მოტივებთან; კერძოდ, მათზე გამოსახულ დეკორს არაერთი პარალელი მოეძებნა განვითარებული შუა საუკუნეების ქართული ჭედური ხატების ჩარჩოებისა და წმინდა სცენების გარეშემო ფონთა მხატვრული დამუშავების ჩვეულ თემებთან.

წარმოვადგენთ ასეთი თანხვედრის რამდენიმე მაგალითს.

ჩვენ მიერ აღმოჩენილ კოლექციაში 30-მდე ფრაგმენტითაა წარმოდგენილი მოოქრული ვერცხლის ფირფიტები, რომლებზედაც ზედაპირიდან ჭედვის, გრავირების ხერხით გამოყვანილია მცენარეული, რტოყლორტოვანი მოტივები (სურ. 12). ეს მეტად დაბალი რელიეფით შექმნილი სახეები, ფაქტიურად გრაფიკულ, მაგრამ მეტად ცოცხალ მონახაზებს ქმნიან: აქ გამოსახულია თავისუფლად გაშლილი ან მოკაუჭებული, თითქოს მოძრავი ყლორტები და ნახევარფოთლები; ღეროები ბირთვისებური ნასკვების შემდეგ ხშირად განწყვილებულადაა აღმოცენებული, ზოგან კი გაფართოებულია და კეჭნილობით ან ჩხვლეტილად („პუნსონით“) შემკული. როგორც წესი, ხატების ფონის ამგვარი ორნამენტი ზოლებად დაჩივრებილ სიბრტყეებზეა გამოყვანილი. ზუსტად ამგვარად ორნამენტიზირებული ფონები საკმაოდ დამახასიათებელი ყოფილა საქართველოში X-დან XIII საუკუნემდე დამზადებული ჭედური ხატებისათვის. მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ კაცხის მაცხოვრის (X ს), იენაშის მაცხოვრის (XI ს), ონის წმინდა გიორგის (XII-XIII სს), გელათის მაცხოვრის (XIII ს), წვირმის წმ. იაკობის (XII ს), უამუშის წმინდა გიორგის (XI ს), მღვიმევის იოანე ნათლისმცემლის (ვედრების კომპოზიციიდან) და სხვა მრავალი ხატი

[ჩუბინაშვილი 1957: ტაბ. 119-121, 132, 162, 165-166; ჩუბინაშვილი 1959 ბ: ტაბ. 72, 82, 83-84, 365, 416 და სხვ.].⁸

უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ და სხვა მრავალ ქართულ ხატთათვის, ამგვარად დამუშავებულ ფონებთან ერთად, დამახასიათებელია მოჩარჩოების ჭედურად დამუშავებული კიდევ რამდენიმე მოტივი, რომელთა ანალოგიურად ორნამენტირებულ მოძრაობულ ვერცხლის ფირფიტების ფრაგმენტებს აგრეთვე მოიცავს ალევის სამებაში ჩვენ მიერ აღმოჩენილი კოლექცია. ასეთებია მაგ.: ერთმანეთისგან შროშანისებური სახეებით გამოყოფილი რელიეფური „ნალების“ მწკრივი ჩარჩოთა შიგნითკენ დაფერდების ზოლებზე (სურ. 13), რომელთა ერთმანეთისგან ოდნავ განსხვავებული ნაირსახეობები გვხვდება განვითარებული შუა საუკუნეების შემდეგ ჭედურ ხატებზე: მღვიმევის ვედრების ჭედური კომპოზიციის, კაცის მაცხოვრის, მრავალძალის წმ. გიორგის (ყველა XIII სს) მოჩარჩოებათა დაფერდებულ ზოლებზე [ჩუბინაშვილი 1959 ბ: ტაბ. 72, 75, 82, 416].

ალევის სამებაში აღმოჩენილ ვერცხლის ზოგიერთ ფირფიტაზე გვხვდება ოვალური მოყვანილობის ფიგურები, დაფარული ურთიერთგადამკვეთი, პარალელური ზოლებით შექმნილი ბადეებით, რომელთა შემადგენელი თითოეული რომბის ცენტრში წერტილოვანი ნაჩევლეტია დატანილი; ეს გირჩისებური სახეები, რტო-ყლორტოვანი ან ნახევარფოთლოვანი ფორმებითაა გარშემორტყმული (სურ. 12). ეს მოტივიც ხშირად ყოფილა გამოყენებული დაახ. აღნიშნული ეპოქის ქართული ჭედური ხატების მოჩარჩოებისას. მაგ., მსგავს სახეებს ვხვდებით ხობის ღვთისმშობლის ხატის (X ს), მღვიმევის ვედრების კომპოზიციის იოანე ნათლისმცემლის ხატის (XIII ს) ჩარჩოებზე [ჩუბინაშვილი 1959 ბ: ტაბ. 62-65, 165-166; ჩუბინაშვილი 1957: ტაბ. 35].

ალევის ჭედური ფირფიტების კოლექციაში გვხვდება კიდევ ერთი მოტივი, რომელიც აგრეთვე საკმაოდ დამახასიათებელი ყოფილა აღნიშნული ეპოქის ქართულ ჭედურის ხატების ჩარჩოების დეკორისათ-

8 განვითარებული შუა საუკუნეების ჭედური ხატების მთავარი ფიგურების რტოყლორტოვანი ორნამენტის თემაზე გაფორმებული ფონებიც, ყოველთვის როდი არის ხოლმე შესრულებული ვირტუოზულად – გვხვდება ნიმუშები, სადაც აღნიშნული მცენარეული სახეები ზედმეტად პირობითად და ხისტად, ნაკლებად ოსტატურადაა ნაკეთი (ისეთ ნამუშევრებში, სადაც არც ცენტრალური ფიგურები გამოირჩევა დიდი მხატვრული ღირსებით). ამის ნიმუშებად შეგვიძლია დავასახელოთ ნაკიფარის მაცხოვრის, იენაშის, ლაბეჭინის წმ. გიორგის (ყველა XI ს) და სხვა ხატები [ჩუბინაშვილი 1959 ბ: 56, 122]. გვიან შუა საუკუნეებში, ჭედური ხატების წმინდა სცენების ფონების დაახ. ამ სტილით დამუშავებას მეტად იშვიათად მიმართავდნენ და იქ, როგორც წესი, ორნამენტი ძალზე ულიმლამდაა გრავირებული. ალევის სამების ახლადმიკვლეულ ფირფიტებზე შემორჩენილი ამ რიგის ორნამენტაცია კი საკმაოდ მაღალი მხატვრულ-ტექნოლოგიური მახასიათებლებით გამოირჩევა.

ვის. ეს ორნამენტია გრავირებული წრეხაზების და ნახევარწრეხაზების წნული, რომელების ურთიერთგადაკვეთის შედეგად, წრეხაზების შიდა ფართზე მიღებული ფიგურები შიგნითკენ რკალურად ჩაზნე-ქილგვერდებიანი რომბების მრავლობითი მწკრივის ილუზიას იწვევს (სურ. 11). ასეთი ორნამენტი გვხვდება ჩუკულის მიქაელ მთავარანგე-ლობის ხატის ჩარჩოზე (XIII ს), სამთავისის საკურთხევლის წინ აღსა-მართი ჯვრის შეკეთების ფირფიტებზე (XIII ს) [ჩუბინაშვილი 1959 ბ: ტაბ. 171, 385, 507, 517].

ჩვენი კოლექციის ფირფიტებიდან ერთ-ერთზე გვხვდება შემდე-გი ორნამენტული მოტივი – ეს არის ურთიერთგადამკვეთი, გრეხილი ტალღებით მიღებული წაგრძელებული ოვალებისა და იმავე ტალ-ღებით გამოყვანილი რომბების მონაცვლეობით შედგენილი ზოლი (ოვალებში გრავირებით „ჩატარა ოვალები, რომბებში კი პატარა რომბები). ამგვარ ჭედურ ჩუკურთმასაც ეძებნება საკმაოდ ახ-ლობელი პარალელები – მაგალითად, მსგავსი კომბინაციით შემკული გრავირებული ზოლები შემოუყვება შქედის, წვირმისა და ჩობენის ხა-ტებს (ყველა XI ს) [ჩუბინაშვილი 1959 ბ: ტაბ. 252, 249].

ალევის სამების ჭედური ფირფიტების დეკორატიული მოტივე-ბის თანხვედრა განვითარებული შუა საუკუნეების ჭედური ხატე-ბის ჩარჩოებთან კიდევ რამდენიმე სახასიათო ორნამენტულ თემაში მულავნდება. კერძოდ, შეგვიძლია დავასახელოთ ჩარჩოთა გასწვრივ წაგრძელებული ვიწრო ზოლები, რომლებიც შიგნიდან, კიდეების ურ-თიერთსაწინააღმდეგო მხარეებზე აქეთ-იქითაა დაკეჭნილი ჭდეებით [ჩუბინაშვილი 1959 ბ: ტაბ. 75, 365]. ალევის ზოგიერთ ფირფიტაზე შე-მორჩენილი, პუნქონის ტექნიკით გამოყვანილი წვრილი რგოლების მწკრივი აგრეთვე ტიპიურია ამ ეპოქის მრავალი ქართული ჭედური ხატისთვის [ჩუბინაშვილი 1959 ა: 10-15].

აյ წარმოდგენილი შედარებითი ანალიზის საფუძველზე, ვფიქ-რობთ, ალევის სამების კოლექციის ფირფიტების ანალოგიური ორნა-მენტული მოტივებით შემკული ნაკეთობების ფუნქციონალური დატ-ვირთვა და დათარიღება საკმაოდ ცალსახად მიგვანიშნებს შემდეგზე: გამოსაკვლევი ჭედური ფრაგმენტები X-XIII სს ქრონოლოგიურ მო-ნაკვეთშია დამზადებული (ამ მომცრო ფრაგმენტების მიხედვით, დამ-ზადების ხანის მეტად კონკრეტიზირება კვლევის ამ ეტაპზე არ მოხერ-ხდა) და ისინი სეკლესიო დანიშნულების ერთი ვრცელი ან რამდენიმე მხატვრული ნაკეთობის ნაწილებია. მოოქრული ვერცხლის ფურცლე-ბის ამ ფრაგმენტებზე გრავირებით გამოყვანილ მოტივთა „გალერეის“ ანალიზი უფრო იმ დასკვნისკენ გვიბიძგებს, რომ მიუხედავად საკმაო მრავალფეროვნებისა, ორნამენტთა ეს კომპლექტი თავისუფლად

შეიძლება ერთი ან ორი ჭედური პანოს ნაწილები იყოს – ზოგი საკუთრივ ბრტყელ ჩარჩოზე დატანილ გეომეტრიულ ჩუქურთმათა გრძივი რიგისა და მათში ჩართული მცენარეული მოტივებით გაფორმებული მედალიონ-ვარდულების, ზოგი კი ჩარჩოს ძირითადი სიბრტყისკენ დაფერდების ზოლისა და შიდა ბრტყელი პანოს შემამკობელი რტყლორტოვანი თემისა, ნაჩხვლეტ ზოლებთან კომბინაციაში. მაგრამ რა დომინანტური ფიგურის თუ სიუჟეტის შესამკობლად იყო შექმნილი მთელი ეს აღკაზმულობა? სამწუხაროდ, ამაზე პირდაპირი პასუხი არ გაგვაჩინია.

როგორც დავრწმუნდით, ჭედური პანოების ეს არასწორი ფორმის ფრაგმენტები, აშკარად განძის მიტაცებისას, საფუძველი დაფიდან მოოქრული ვერცხლის დიდი ფურცლების ნაჩქარევად, უხეშად აძრობისას მიმოფანტული და შემთხვევით შემორჩენილი ნაწილებია – ზოგიერთ მათგანს შერჩენილიც აქვს ამ ხის დაფის მცირე ანატკეცები, აღნიშნული ფირფიტების დასაჭედებელი ვერცხლის ლურსმებითურთ. თუნდაც ზემოთ განხილული, ანალოგიურად შემკული მხატვრული ოქრომჭედლობის ნიმუშების გათვალისწინებით, ცხადია, პირველადვე ის აზრი გვიჩნდება, რომ ეს ფრაგმენტებიც ჭედური ხატის (ან ხატების) ზედაპირის ნაწილებია; მეორე მხრივ, ასეთ დაშვებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ერთი გარემოება. საქმე ის არის, რომ მიუხედავად ჩარჩოების სოლიდური სიგანისა და გამოსახულების ირგვლივ თავისუფალი არეების გარდაუვალად არსებობისა, ნებისმიერი ქართული ჭედური ხატის საერთო ფართობის უმნიშვნელოვანესი ნაწილი (ნახევარი მაინც), თვით საუფლო ან წმინდანთა გამოსახულებებს და მათ იკონოგრაფიულად აუცილებელ ატრიბუციებს უკავია ხოლმე. ალევის მოოქრულ ვერცხლის ფირფიტათა კოლექციის შემადგენელ ფრაგმენტებზე კი ერთადერთი გამონაკლისის, გრავირებით გამოყვანილი, ადამიანის პირ-სახის გამომხატველი, მეტად მცირე ზომის რელიეფის გარდა (რომელიც შეუძლებელია მასშტაბური სცენის ცენტრალური პერსონაჟისა იყოს), არც ერთგან არ არის შემორჩენილი ადამიანის სახე-სხეულის ნაკვთების, შარავანდების, დრაპირებული სამოსელის ან დამატებითი ატრიბუტების კვალი. აქედან გამომდინარე, შეიძლებოდა პიპოთეზის უფლებით მაინც დაგვეშვა შესაძლებლობა, რომ ამ ჭედურ პანოზე არასდროს არ იყო გამოსახული საუფლო თუ სხვა საეკლესიო-დოგმატური სიუჟეტები – იქნებ კანკელში აღნიშნული სტილითა და ტექნიკით შესრულებული ჭედური ხატები იყო ჩართული, მათ შორის კი, ცენტრში, მხოლოდ ხატების მოჩარჩოების ელემენტებით, ორნამენტით შემკული სამეუფეო კარები, ხატების გარეშე; ასეთ შემთხვევაში უნდა გვეგულისხმა, რომ კარების სიბრტყეების უსაგნოდ აღკაზმვა

კანკელის მხატვრული კომპოზიციის ერთიანობაში აღქმას ემსახურებოდა. მეორე მხრივ, საკმაოდ დიდია იმის ალბათობა, რომ ხის დაფუბიდან ვერცხლის ფირფიტების ნაგლეჯ-ნაგლეჯ აცლისას, მაინც და მაინც წმინდა სცენების გამოსახულებანი დაკარგულიყო უკვალოდ: მართალია, მძარცველებისთვის სულ ერთი იყო, ძვირფასი ლითონებისგან დამზადებული ხატების რომელ დეტალებს მიითვისებდნენ, მაგრამ ჩვენთვის ხომ ცნობილია, რომ ქართული მოზრდილი ჭედური ხატების ორნამენტული ჩარჩოები ნაწილ-ნაწილ მზადდებოდა და ხშირად ცალკეული სეგმენტების სახით იყო დაჭედებული დაფაზე, თვით წმინდანთა გამოსახულებანი, ე.ი. საკუთრივ ხატები კი მთლიან ფირფიტებზე იყო ნაჭედი და, შესაბამისად, გატაცებისას მათი ერთიანად აძრობა უფრო ადვილად მოხერხდებოდა.

ვარაუდს, რომ ალევის სამების ეკლესიის ოქროს ფირფიტებით დაფარულ სამეუფეო კარებს მართლაც ამშვენებდა წმინდანთა, კერძოდ კი მთავარანგელოზთა ჭედური ხატები, პ. იოსელიანისა და ე. თაყაიშვილის ზემოთ ნახსენები ცნობებიც ადასტურებს. ესეც არ იყოს, ჩვენთვის დოკუმენტურად არის ცნობილი, რომ შუა საუკუნეების საქართველოსა და მართლმადიდებლური აღმოსავლეთის ქვეყნების შუა საუკუნეების ეკლესიებში, სამეუფეო კარები ხშირად იყო ხოლმე შემკული მდიდრულად, არცთუ იშვიათად სწორედ რომ მოოქრული ფირფიტებით, რომლებზედაც გამოსახული იყო მთავარანგელოზები ან მახარობლები (ჭედვით ან ფერწერულად). უნდა აღინიშნოს, რომ სამეუფეო კართა ამგვარად გაფორმების ტრადიცია ამ ქვეყნებში დღემდე გრძელდება.⁹

აღსანიშნავია ისიც, რომ სამეუფეო კარებს წმინდანთა გამოსახულებები უფრო ხშირად ვერტიკალურ რეგისტრებად დაუყვებოდა და, შესაბამისად, თითოეული სურათი კანკელის სხვა ხატებზე მომცროვა ხოლმე (ეს ხომ არ არის მიზეზი იმისა, რომ ჩვენ მიერ მიკვლეულ ფრაგმენტებზე წმინდა სიუჟეტების ნწილები პრაქტიკულად არ არის შემორჩენილი?).

მოსაზრებას, რომ ალევის ეკლესიის ჭედური ხატებით და ორნამენტებით შემკული პანოები მართლაც სამეუფეო კარებად იყო გამოყენებული, ჩვენ მიერ სამალავში სტრატიგრაფიულად ვერცხლის მოოქრული ფურცლების ფრაგმენტთა პორტონტზე მიკვლეული, ოქროს მავთულით წნული, ზემო აღწერილი, ოქროს მაღალმხატვრულად დამუშავებული აუზრული ნივთების ფუნქციაც განამტკიცებს – სა-

⁹ სხვათა შორის, აღნიშნულ კოლექციაში სრულიად შეუმკობელი, გლუვზედაპირიანი მოოქრული ვერცხლის ფურცლების ნაშთებიც გვხვდება. სავსებით შესაძლებელია, რომ მათი სახით საქმე გვაქვს სამეუფეო კარების ზურგების, ე.ი., მლოცველთათვის ნაკლებად ხილვადი სიბრტყეების ნაწილებთან.

მეუფეო კარები ხომ დახურულ მდგომარეობაში სავარაუდოდ მდიდრულად შემკული, ცენტრალური საკეტით უნდა დაფიქსირებულიყო, ხოლო ცალმხრივ ვერტიკალური ღერძის ირგვლივ სამოძრაოდ, მოპირკეთებულ ანჯამებზე დაკიდების სისტემა ფრიად მოსახერხებელი იქნებოდა.

და ბოლოს, დაშვებას, რომ აღმოჩენილი ვერცხლის ფირფიტები არა ხატის, არამედ მდიდრულად შემკული სამეუფეო კარების ფრაგმენტებს წარმოადგენს, ერთი უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური ფაქტიც მატებს საფუძვლიანობას: სამალავში ვერცხლის ფირფიტებთან ერთად აღმოჩნდა რკინისგან ნაჭედი, დაახ. 0.5 სმ-ის სისქის, სანახვორდ უანგისგან განადგურებული ფურცლების მეტ-ნაკლები ზომის ფრაგმენტები, რომლებიც „ჯამურად“ საკმაოდ დიდი, მართვულა მოყვანილობის დაფების ნაწილები უნდა იყოს (სურ. 15). მათი ნაპირების გაყოლებაზე რამდენიმე ხვრელია შემორჩენილი, ეს კი, შესაძლოა რკინის საფუძველზე იმავე ზომის ხის დაფების დასამაგრებლად გამოიყენებოდა. თუკი ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ ვერსიას მივყვებით, ნაპოვნი რკინის ფურცლები სწორედ იმ კარის ფრაგმენტებად შეიძლება მივიჩნიოთ, რომელზედაც ჯერ ხის დაფა იყო დამაგრებული, შემდეგ კი ჭედურად დეკორირებული, მოოქრული ვერცხლის ფირფიტა – სწორედ ის, რომლის დეტალების შესახებაც გვქონდა საუბარი.

მართალია, ქართულ ჭედურ ხატებს, როგორც წესი, მხოლოდ ხის დაფებზე აკრავდნენ, მაგრამ ამ შემთხვევაში, ჭედურობა თავის ხის დაფიანად დამატებით რკინის ფირფიტაზე ყოფილა დამაგრებული. რადგანაც სამეუფეო კარს სიმტკიცის გაძლიერება არ ესაჭიროება, უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი დამატებითი „დამძიმება“ სიმბოლური, შეგნებული ჩანაფიქრია – ყოველი მხრიდან მოოქრული ვერცხლის ფირფიტებით შემოსილი კარი რამდენადმე მძიმედ მოძრავიც უნდა ყოფილიყო, რომ მრევლზე მასიური ოქროს შთაბეჭდილება დაეტოვებია (განსხვავებით ჭედური ხატებისგან, რომლებიც კედლებზე უძრავად ეკიდა და მათი სიმძიმით იშვიათად რომ ვინმე დაინტერესებულიყო); როგორც ვნახეთ, ამ მცდელობამ მიზანს მიაღწია კიდეც – ასეთი პომპეზური, მძიმე და ხატ-ორნამენტით შემკული, მოოქრული კარების შემყურე მოსახლეობამ ტაძრის „ოქროსკარიანობა“ მის არაოფიციალურ სახელწოდებაშიც ხაზგასმით ასახა.

როგორც ვხედავთ, წარმოდგენილ არგუმენტებზე დაყრდნობით, საკმაო საფუძველი გაგვაჩნია ალევის სამების სამალავში აღმოჩენილი მხატვრული ლითონმქანდაკებლობის ნიმუშების აღწერილი ფრაგმენტები სწორედ რომ მოოქრული ვერცხლით (რასაც რიგითი მრევლი ოქროდ აღიქვამდა) მოჭედილი სამეუფეო კარების ნაწილებად მივიჩ-

ნიოთ. ამასთან, ვფიქრობთ, რომ ალევის ეკლესიის საყოველთაოდ გავრცელებული ხალხური ზედწოდება „ოქროსკარიანი“, ოდესლაც მისი კანკელის ლიობში დაკიდული ამ მხატვრულად შემკული კარების ასოცირებითაა წარმოქმნილი.

ქრონოლოგიური თვალსაზრისით, ასეთი დაშვება სრულ შესაბამისობაშია მონასტერში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის შედეგებთან, რომლის მიხედვითაც მონასტრის მთავარი ეკლესია დანამდვილებით VIII-IX სს-ში ყოფილა აგებული, ამჟამად შემორჩენილი საყოფაცხოვრებო და სამეურნეო შენობები XI-XIII საუკუნეებს განეკუთვნება, აქტიური ღვთისმსახურება კი კომპლექსში XIV ს-ის მიწურულს შეწყვეტილა დიდი ხნით; ამდენად, სამეუფეო კარების დიდებული, ჩვენ მიერ XI-XIII საუკუნეების დიაპაზონით დათარიღებული ჭედურობით შემკობა, ქრისტიანული კულტურის ამ ცენტრის აღმავლობის კულტინაციურ ეპოქას ემთხვევა. აქვე უნდა გავიხსენოთ კიდევ ერთი ხალხური გადმოცემა იმის თაობაზე, რომ ალევის სამების ტაძრი მეფე დავით ალმშენებლის მიერაა აგებული. ჩვენი აზრით სავსებით დასაშვებია, რომ ეს თქმულებაც დროთა განმავლობაში ოდნავ ტრანსფორმირებული რეალური მოვლენის გამოძახილი იყოს – გაერთიანებული საქართველოს მეფე დავით IV (აღმაშენებელი) ხომ გამუდმებით ზრუნავდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ახალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაზე და არსებული ტაძრების შემკობა-განახლებაზე; შესაბამისად, საკმაოდ დიდია ალბათობა იმისა, რომ ეს წმინდა გვირგვინოსანი შიდა ქართლის ამ უკვე სახელგანთქმულ სალოცავსაც გულუხვად შეწევნოდა – მონასტერი ახალი ნაგებობებით გაემდიდრებინა, ხოლო მისი ტაძარი განეახლებინა და ძვირფასი ხატებით, თუნდაც ოქროთი შეჭედილი სამეუფეო კარებით შეემკო. დიდი მონარქის მიერ მონასტრისადმი გამოჩენილი ასეთი არაორდინარული წყალობის გამო, შესაძლოა მოსახლეობის ისტორიულმა მესიერებამ ამ ტაძრის აგების პრიორიტეტი სწორედ მას მიაწერა.¹⁰

თუკი ჩვენებული ვერსია მონასტრის სამალავში მიკვლეული კოლექციის შემადგენელი ოქროს ნივთების ფუნქციის თაობაზე რეალობას შეესაბამება, პასუხგაუცემელი რჩება შემდევი საკითხი – როდის და რა ვითარებაში უნდა განვითაროთ აქ, ჩვენ მიერ აღმოჩენამდე, განძის ეს ნაშთი? ამ ნესტიან საცავში მტრის შემოსევის საფრთხისას გადამალულ საეკლესიო ძვირფას ინვენტარს (ხატებს, ჯვრებს, ძვირფას ყდებში ჩასმულ ხელნაწერებს და ა.შ), საშიშროების განვლის

¹⁰ აქ უსათუოდ ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოში გავრცელებული ხალხური თქმულება-ლეგენდები, ისტორიული ეკლესიებისა თუ ციხე-კოშკების მშენებლობას უმთავრესად თამარ მეფეს მიაწერს, უსაფუძვლოდ დავით აღმაშენებლის სახელთან ამ ძეგლების დაკავშირების შემთხვევები კი უაღღესად მცირეა.

